



დუშეთის მუნიციპალიტეტი

CPV- 45200000 – სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები.

ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. დუშეთი

2016 წელი

სარჩევი

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის 3
2. ტექნიკური პირობა 7
3. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი 10
4. პრეტენდენტის შეთავაზება (დანართი N1)18
5. დამატებითი ინფორმაცია (დანართი № 4) 19

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხარტ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე. 1.6 ამ ინსტრუქციის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს.

1.8 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განხორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისაგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას. 1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის

რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი,

რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21 იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.22 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23 ამ ინსტრუქციის 1.22 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე - 2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

1.25 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე

პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა)

ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედი დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ტექნიკური დოკუმენტაცია

2. შესყიდვილ ობიექტის აღწერა „მიწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს

1) დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის ა/ე სოფელ ჭოპორტში საფეხბურთო მოედნის მოწყობა

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი:

შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღე.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

4.1.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ეტაპობრივად, სათანადო დოკუმენტების (ფორმა N2, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

4.1.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.1.4 საერთო ღირებულება 8 894 (რვა ათას რვაას ოცხმოცდათოთხმეტი) ლარი.

5. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი.

6. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

ა) პრეტენდენტის შეთავაზება დანართი N1-ის მიხედვით,
ბ) ხარჯთაღრიცხვა დანართი N2-ის მიხედვით, (იხ. მიმაგრებული ფაილი სახელწოდებით ტექნიკური დავალება)

გ) სამუშაოთ შესრულების გეგმა-გრაფიკი თანხებში გაწერილი.

- პრეტენდენტიდ მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება შემსყიდველის ყველა მოთხოვნას, რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში, პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

7. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება 2 (ორი) წელი, რომლის განმავლობაშიც „მიწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

აუცილებელი პირობა

- იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი **20%-ით** ან მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის ხარჯთაღრიცხვის საექსპერტო დასკვნა, იმის გათვალისწინებით, რომ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული თანხით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

-სამუშაოების ეტაპობრივი მიღება-ჩაბარებისთვის, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი-ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის ხელმოწერით, და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება)

- დასრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი-ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის ხელმოწერით და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება).

ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობის შემთხვევაში მოხდება პრედენდენტის დისკვალიფიკაცია.

შენიშვნა:

6.1. სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე; შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები: - უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა. - მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა. - სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ. - სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა. - სამუშაოების შესრულების პროცესში.

6.2 სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ხელშეკრულება

პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ.დუშეთი

თარიღი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB03301002001165022_ შემდგომში „შემსყიდველი“

მეორეს მხრივ შორის რომლის რეკვიზიტებია: (შემდგომში მიმწოდებელი).

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ხელშეკრულების საგანის წარმოადგენს -----
- 1.2. შესყიდვის საშუალება: ელექტრონული ტენდერი
- 1.3. სატენდერო განცხადების ნომერი
- 1.4. კლასიფიკატორის კოდი: CPV- 45200000

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ლარს
- 2.2 ხელშეკრულების ღირებულება გულისხმობს საერთო თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაუხადოს მიმწოდებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის
- 2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოში მოქმედ ყველა გადასახადს.
- 2.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულებების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. სამუშაოს შესრულების პირობები და ხარისხი

- 3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, არსებული სტანდარტების და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, მათ შორის ხელშეკრულებაზე დართული საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.
- 3.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში.
- 3.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო განახორციელოს სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.
- 3.4. შემსყიდველის მითითებისთანავე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სამუშაოს მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება საკუთარი ხარჯით.
- 3.5. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.
- 3.6. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა მოწყობილობა უნდა იყოს სათანადო ხარისხის. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ან/და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების ყველა საჭირო ლაბორატორიული გამოცდა და შემოწმება, მათი გამოყენების ვარგისიანობაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა.) ლაბორატორიული დასკვნები. დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი იქნეს აღნიშნული დასკვნის გამცემი ლაბორატორიის ლიცენზირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.
- 3.7. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.
- 3.8. შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვრება 2 (ორი) წელი სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი დაზიანებების და გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე. აღნიშნული არ გულისხმობს საგარანტიო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

4. სამუშაოს შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

- 4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების ვადა გრძელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის მდე.
- 4.2 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან **2016 წლის 31** დეკემბრამდე.

5. . შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად-შესყიდვის ობიექტის ნაწილის მიღების გზით და საბოლოო შემოწმების შედეგად - სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების გზით.
- 5.2 სამუშაოთა შუალედურ და საბოლოო მიღება-ჩაბარებას განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი.
- 5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება, როგორც სრული ასევე ნაწილობრივი, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.4 სამუშაოების ეტაპობრივი მიღება-ჩაბარებისთვის, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი-ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის ხელმოწერით, და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება)

5.5 დამთავრებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი-ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის ხელმოწერით და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება).

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთჯერადი გადახდის გზით, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება) წარმოდგენის საფუძველზე. 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4 შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა N2 და ანგარიშფაქტურაში) ნაჩვენებ თანხების 10 %-ის დაკავებას. დაკავებული თანხა აუნაზღაურდება მიმწოდებელს, სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2 ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ბრძანებით უფლებამოსილი პირი ან პირთა ჯგუფი. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების კონტროლის მიზნით საკონტრაქტო საფუძველზე მოიწვიოს დამოუკიდებელი სპეციალისტი (ზედამხედველი).

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის უფლებამოსილების მქონე პირთა ვინაობის შესახებ მიმწოდებელს დამატებით ეცნობება წერილობით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. საკუთარი ან მის მიერ მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში დამატებით გამოყენებული იქნება შემდეგი საჯარიმო სანქციები:

8.1.2 დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულებისთვის, - შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% - ის ოდენობით. საჯარიმო სანქცია გადახდილ უნდა იქნეს ხელშეკრულების პირობის დარღვევიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

8.2.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ დაიწყებს სამუშაოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ერთჯერადად დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს ანგარისწორებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და განსაზღვრულ ვადაში მას დაეკისრება საჯარიმო სანქცია ჩასარიცხი თანხის 0.01%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემსყიდველი თვისუფლდება საჯარიმო სანქციისგან თუ ანგარისწორების შეფერხება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

8.3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) შესასრულებელი სამუშაოების 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს - მაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან შეფერხება არის ფორს - მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს - მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს - მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს - მაჟორული გარემოებების ზეგავლენებისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც უნდა დაერთოს ხელშეკრულებას დანართის სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

1.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

13.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

13.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

13.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წიასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხაეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილებით – მხარეთა მიერ შეთანხმების აქტის სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილებით შეთანხმება ცვლილებების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების სახით უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

13.3 მხარეებს უფლება აქვთ წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტონ შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში.

13.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია დააკმაყოფილოს „შემსყიდველის“ მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

14.2 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტაცია:

15.1.1 დანართი 2 :ხარჯთაღრიცხვა

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი :

პრეტენდენტის შეთავაზება

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
	ელექტრონული მისამართი	
	ბანკი	
	ბანკის კოდი	
	ანგარიშის ნომერი	
2	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:	
3	ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადების შესახებ:	
4	ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ:	

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) _____

დამატებითი ინფორმაცია;

სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად განმარტებების მიღება პრეტენდენტებს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში: საკონტაქტო პირი ავთანდილ რაზმაძე

ქ. დუშეთი რუსთაველის ქუჩა № 27;

ტელ: 551448766

